საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის

03017342112691 1

KA030173421126911

ბრძანება No–17

12 / ოქტომბერი / 2011 წ.

ქ. თბილისი

შპს ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო №1"–ს ასფალტის წარმოების მიმდინარე საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის მე–4 პუნქტის, ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს შპს ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო № 1"–ს ასფალტის წარმოების (ქ. გორი, სოფ. კარალეთი) მიმდინარე საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა;
2. ნებართვის მოქმედების ვადა – უვადო;
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№ 26; 6.10.2011 წ.) გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო № 1"–ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. № 7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: შპს ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო № 1"–ს განცხადება (№ 4; 19.09.2011 წ.), ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 26; 06.10.2011წ. და ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი — გიორგი ხაჩიძე